



N 4840/01  
27/05/2020

4840-01-2-202005271731



### სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 20 მაისის N16/327 (სამინისტროს სარეგისტრაციო ნომრით N7511) წერილი, რომელიც ეხება სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბანის“ (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ „გარდაბანის“ გაორჯაჭვიანება) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.


გზმ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის 11 თებერვლის N16 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N2-146) მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- სანაყაროებისა და სამშენებლო ბანაკის/მოედნის Shp ფაილები;
- საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტს (გარდაბანი GE0000019). გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო ღონისძიებების გეგმა;
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ეგხ-ს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით). კერძოდ, სქემატური ნახაზი თითოეული საყრდენი ანძის ნუმერაციის მითითებით შესაბამის Shp ფაილებთან ერთად.

გზმ-ის ანგარიშზე თანდართული „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წერილით მოთხოვნილია, რომ “220 კვ. ეგხ „ალავერდის“ N17-21 საანკერო მალში N17ა და N17ბ საყრდენების ჩამატებისთვის დატვირთვებიდან გამომდინარე აუცილებელია არსებული N18 შუალედური საყრდენის ახალი ანკერული საყრდენით შეცვლა”. აღნიშნულიდან გამომდინარე გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია არსებული N18 საყრდენის დემონტაჟისა და მისი ახალი საყრდენით შეცვლის ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი ნუმერაციის მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

